სამსონ ფირცხალავა

ეროვნული ნატვრა და პოლიტიკური იდეალი

ქართველმა კაცმა ნატვრაც არ იცისო - ნატვრა-ოცნება და ნატვრა-სურვილი აქტივური. ეროვნული ნატვრა როგორც პოლიტიკური იდეალი

ნათქვამია: ქართველმა კაცმა ნატვრაც არ იცისო. მტერმა სთქვა ეს თუ მოყვარემ? დაცინვაა, თუ წრფელი გულის ტკივილი? - ძნელი გამოსაცნობია. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ანდაზას განმარტება უნდა. პირდაპირ ნატვრაზე თუ მიდგა საქმე, ჩვენს საზოგადოებას ნატვრა, როგორც პასივური მდგომარეობა, ოცნებობა, ფანტაზიორობა, ძალიან ეხერხება. ჩვენ ძალზე გვეადვილება ზღაპრული ამბების შეთხზვა, წარმტაცი კოშკების აშენება ცის ღრუბლებზე, ადვილად გადავიშლით ხოლმე თვალწინ ყოველგვარ ნეტარებას, სილაღეს და ისე შორს გაგვიტაცებს საკუთარი ფიქრი, რომ ოცნება სინამდვილედ გვეჩვენება და ხშირად ერთმანეთს თავპირს ვამტვრევთ ჩვენი ფანტაზიის ნადავლის გაყოფის დროს... ხოლო უეჭველია, ზემო დასახელებულ ანდაზის გამომთქმელს სრულებით ასეთი ნატვრა - ფანტაზიორობა არ ჰქონია გულში. არა, ანდაზა ჰგულისხმობს ისეთს ნატვრას - სურვილს, რომელიც მხოლოდ რეალურ განცდათა ნაყოფია, დასკვნაა მრავალ გზის აწონილ დაწონილ ვითარებისა, შემუშავებულია დინჯის ფიქრისა და დაკვირვებული მოსაზრების. ამგვარი ნატვრა გამომხატველია გარკვეულის ნებისყოფისა, რომელიც აქტიური ძალაა, წინ ისახავს განსაზღვრულს იდეალს, სასურველს საგანს და მეთოდიურად, მხნედ, დაუღალავად მიისწრაფვის მის განსახორციელებლად. ასეთი ნატვრა გეგმაა ყოველ-დღიური მუშაობისა, გზის მაჩვენებელი ლამპარია მოღვაწეობ-

ისათვის, ურომლისოდ ვერას გააკეთებს ვერც კერძო ადამიანი, ვერც მთელი საზოგადოება, თუნდ ერი ან სახელმწიფო.

აი, ამ აზრით არის ნათქვამი: ქართველმა კაცმა ნატვრაც არ იცისო. არ იცოდა წინადაც? ამის თქმა არ შემიძლია. მაგრამ დღეს კი ეს ნამდვილია. დღეს არა გვაქვს ნატვრა, როგორც გამორკვეული სურვილი, როგორც აქტივური ნებისყოფა და ეს ჩვენი ეროვნული უძლურების, პოლიტიკური სიბეჩავის, უსახეობის მაჩვენებელია. ადამიანი პიროვნებაა, ერი თავისებურობაა; დიდი ადამიანი - დიდი პიროვნებაა. მაღალი ერი - ძლიერი თავისებურობაა. ერთსაც და მეორესაც აშკარავებს გარკვეული და განსაზღვრული სახეობა. ხოლო სახე მეტყველობს სურვილით, წადილით, მისწრაფებით. მითხარი, რა გინდა, და გეტყვი ვინა ხარ - ეს შეურყეველი კანონია პიროვნების და ეროვნების არსებობისათვის. ადამიანი ადამიანია იმით, თუ რა საწადელი ჩაუნერგავს გულში; ერი ერია იმით, თუ რა პოლიტიკური და სოციალური იდეალი ასულდგმულებს მის ცხოვრებას. ფხიზელი კაცი ყოველთვის ამოიკითხავს ადამიანის ფიზიკურს სახეზე მის სულიერს სახეს. შუბლი გაშლილია, სახე ნათელი, თვალები ციურის შუქით ჰბრწყინავს იმის, ვინც აღტყინებულია მაღალის მისწრაფებით, კეთილშობილურის ლტოლვით. ერი აღბეჭდავს თავის ვინაობას ისტორიის ფურცლებზე თავის ცხადის რწმენით, გაუტეხელის იმედით, შეუპოვარის სურვილით...

ჩვენი ეროვნული სისაწყლე და სივაგლახე ის კი არაა, იმით კი არა ვართ უძლურნი, უპატივონი, აბუჩად აგდებულნი, რომ ყოველი ჩვენი ღირსება/...../ ცხრაკლიტულშია გამწყვდეული?/...../ არა, ჩვენს უძლურებას ჩვენი შეუგნებლობა შეადგენს, ჩვენი უსურვილობა, უნებობა. ჩვენ არ განვიცდით სავსებით ჩვენს ბედს და ამ განცდისაგან არა გვაქვს მოპოვებული მტკიცე მისწრაფება, წადილი გარკვეულის, ნათლად წარმოდგენილის იდეალის განხორციელებისა...

. . .

შეიძლება ეს ვინმემ გაიკვირვოს და მითხრას: სურვილები როგორ არ გვაქვსო? ჰო, ჩვენ ბევრი სურვილი გვაქვს, სურვილი როგორც გაურკვეველი ბუნდოვანი ოცნება-ნატვრა, მაგრამ არც ერთი არა გვაქვს ისეთი, რომელიც სინამდვილის განცდის დასკვნას ემყარებოდეს, მთელს ჩვენს სულიერს არსებას შეიცავდეს და მოუსვენრად მოგვიწოდებდეს მოქმედებისათვის...

სურვილი ძალაა, ვსთქვი: სურვილი შემოქმედება, სურვილი სიცოცხლის ღერძია. სადაც სურვილი არაა, იქ უძრავობაა, ჭაობია, ხრწნა. მაგრამ ეს ცოტაა კიდევ: როდესაც მტკიცე სურვილი გვაქვს, განსაზღვრული იდეალი, ნათელი მისწრაფება, მიზანი, მაშინ საქმე სანახევროდ უკვე გაკეთებულია. მაშინ უკვე შემსუბუქებულია ტვირთი, გარკვეულის მომავლის საწადელის მეოხებით მწარე და უმსგავსი აწმყო უკვე გალამაზებულია. გეგმის შემუშავება, იდეალის გათვალისწინება უდიდესი ნაბიჯია ადამიანის და საზოგადოების ცხოვრებაში. მახსოვს ერთი მასწავლებელი, რომელიც უმაღლეს ნიშანს დაუწერდა მოსწავლეს, თუ კარგს გეგმას შეადგენდა თხზულებისათვის; მისთვის საჭირო აღარ იყო უკვე თვითონ თხზულების დაწერა. როცა ადამიანმა იცის, რა უნდა გააკეთოს, ხალისით მუშაობს; ბეჯითად და კარგად აკეთებს, მისი შრომა ნაყოფიერია, მისი ყოველი მოძრაობა დაწინაურებაა, გამარჯვებაა. მაგრამ ვაი იმას, ვინც თვალახვეული შესცქერის თავის მომავალს, ვინც არ იცის, რა უნდა, ვისაც ყველაფერი სწადია და არც არაფერი. ასეთი ადამიანის მოღვაწეობა უშედეგოა, სვლა ბორძიკია, არსებობა უსულდგმულობაა.

ასეა საზოგადოების, ერის ცხოვრებაც. ერს, რომელსაც ნათლად არ გაურკვევია თავის მისწრაფების საგანი, ყველა ადვილად იბეჩავებს, იბრიყვებს. უსურვილო ხალხს მოქმედება არ უჭრის, ძალა არ შესწევს, მის ხმას გასავალი არ აქვს, მის სიტყვას - სიტყვას გაუბედავს და უსახოს - ყურადღებას არავინ აქცევს. იგი უძლურია, მუდამ ცახცახებს, შიშობს, თრთის. ფეხს რომ გადადგამს, მაშინვე

უკან დაიხევს, რადგან დარწმუნებული არაა, რომ კარგად მოიქცა. უძლურია, რადგან ორგანიზაცია არა აქვს, შეკრული და შეკავშირებული არაა, იმიტომ, რომ ორგანიზაცია ჰგულისხმობს განსაზღვრულს გეგმას, იდეალს, რომელიც მას არ მოეპოვება. იგი ვერ იცავს თავის ღირსებას, რადგან ეს ღირსება მისთვის მკრთალია, ბუნდოვანია, ღრუბლებითაა გარემოცული. მან არ იცის თავის გამოდება უფლებისათვის, რადგან ვერ შეხებია უფლების საგანს, /...../

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ჩვენ ერი ვართ და როგორც ასეთს "რაღაც" სურვილი გვაქვს, რაღაც გვწადია, მაგრამ საუბედუროდ მხოლოდ "რაღაც", რომელიც ყველაფერია და იმავ დროს არაფერი, რომელიც მეტად დიდია და იმავ დროს მეტად პატარა, რომელიც უსაზღვროა და შეიძლება სწორედ ამიტომაც მოკლებულია გარკვეულს სახეს და ხასიათს. ჩვენ ვცხოვრობთ და გვაქვს სურვილი სიცოცხლისა, მაგრამ ეს სურვილი ისე ზოგადია და ბუნდოვანი, როგორც სიცოცხლის შეგნება უმდაბლესი განუვითარებელი ორგანიზმისა, ცხოველისა, რომელიც მარტო ერთს მარტივს ფიზიკურს არსებობას განიცდის და არა სიცოცხლის მრავალფეროვნებას, რომელიც მარტო სიცხეს ან სიცივეს ჰგრძნობს და არა ჰავის სხვა და სხვაობას. /.../ მაგრამ ეს განა /.../ ნიშანია ეროვნული სიმწიფისა, მაჩვენებელია პოლიტიკური განვითარებისა? ეს იგივეა: ვინმემ რომ სთქვას, მშიან და საჭმელი მინდაო. თუ ჩვენ, როგორც ერს სურვილი გვაქვს, ეს სურვილი ბურუსში კი არ უნდა იყოს გახვეული და ზოგადი მცნებით კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ უნდა მიიღოს ცხადი სახე, ყველასთვის აშკარა და განსაზღვრული, უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეულს პოლიტიკურ ფორმაში, გამოითქვას ბეჯითის იურიდიულის სიტყვებით. ჩვენს გონებას სრულებით არაფერს ეტყვის იმის თქმა, რომ /.../ უფლება გვწადია. ეს არც სხვას, გარეშეს ეუბნება რასმე. დიდი ხანია წარვიდა და დაიმარხა ის დრო, როცა უშინაარსო დეკლარაციით, განცხადებით ვკმაყოფილდებოდით

გულუბრყვილოდ. ეხლა მეტია საჭირო, ვიდრე ნისლოვანი ეროვნული თვით გამორკვევის უფლება.

/.../ არა კმარა პრინციპიალურის დებულების გამოცხადება. არა, ერი მაშინ იქნება მხოლოდ გამორკვეული და ერის უფლება მაშინ გამტკიცდება, როდესაც გამოვარკვევთ ცხადს პოლიტიკურ პირობებს ერის უფლების რეალიზაციისათვის, გასანამდვილებლად...

მშიერს საჭმელი უნდა, ერს /.../ უფლება უნდა - ამის თქმა არაფერია. საქმე ისაა, რომ მშიერს საჭმელი მიაწოდოთ. /.../ ეს განა საკითხავია? ადამიანი უჰაეროდ გასძლებს? ეგ /.../ სურვილი ყველას აქვს, ეს ბუნებრივი თანდაყოლილი თვისებაა ყოველი სულიერისა. მაგრამ ამ სურვილს უნდა მივსცეთ პრაქტიკული ხასიათი და გამოვარკვიოთ, რანაირი პოლიტიკური ფორმაა საჭირო ჩვენის სურვილის განსახორციელებლად და რანაირ პირობებში /.../ ჩვენ ეროვნული სურვილი მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ჩვენი სურვილი გადალახავს ზოგად სიტყვებს და ჩამოისხმება გარკვეულ პოლიტიკურ იდეალად. უამისოდ ჩვენს ეროვნულს მისწრაფებას არ ექმნება სურვილის - ნების მნიშვნელობა, ჩვენი სურვილი ვერ გადაიქცევა პოლიტიკურ ლოზუნგად, ვერ შემოკრებს ერს სამოქმედოთ დროშის გარშემო...

დღეს განსაკუთრებული, მეტად მძიმე დროა. შეცდომა, სიზანტე და დაუდევრობა არავის ეპატიება. რაც წინად შეიძლებოდა არ დაგვენახა, დღეს უნდა დავინახოთ. თუ წინად შეიძლებოდა მოცდა, დღეს დახანების დრო აღარაა. თუ წინად შეიძლებოდა იგავ-არაკებით ლაპარაკი, დღეს ეს უდიდესი დანაშაულობაა. თუ წინად მორიდება და უზომიერესი ზომიერება მოქალაქობრივი მოვალეობა იყო, დღეს ეს შეუწყნარებელი პოლიტიკური ლაჩრობაა...

თუ წინად კანკალით ვამბობდით, რომ "ვიღაცეები" ვართ, დღეს თამამად უნდა ვსთქვათ, თუ ვინა ვართ! თუ წინად ვითხოვდით "რაღაცას", ეხლა პირდაპირ და გარკვევით უნდა გამოვაცხადოთ, თუ რა გვწადია!...

ეს არის ერთად ერთი გზა ჩვენი ერისათვის, ამ გზას დღეს ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ...

სიტყვა

სახალხო ფურცელი 1915 წ. 13 სექტემბერი, N 380